

გაზეთის ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერი

რედაქციის მისამართი:  
ნიკოლოზის ქუჩა, კორპუსი  
ტფილისი.  
გაზეთის დასაბარებლად  
და განცხადებათა დასაბეჭდად  
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.  
გამაერც. საზოგადოების კანცელარიის  
ფასი განცხადებისა:  
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ  
16 კობ., მეორეზედ — 8 კობ.

„ივერი“ ტელეფონი № 227

„ივერი“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 3 დეკემბერს,

ბენეფისი **ა. მ. კარბარეთელისა**

ქართულ დრამატულ საზოგადოების არტისტებისაგან, **ქალბ. მ. მისის**  
და **ბატონ. გუნიას** მონაწილეობით  
წარმოდგენილი იქმნება

## რუსთაველი

ოთხ-მოქმედებიანი პიესა კ. მესხისა (სიუჟეტი აღებულია ბერის თხზულებიდან)

## აყალ-მაყალი ცოლ-ქმარ შუა

ვალდებული 1 მ. აქტი, თარგ. ა. კუჩინაძისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

დადგენის ფასი საბუნებისა. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი **მ. აბაშიძე** და **კ. მისი**.

ამ მოკლე ხანში დანიშნულია ქ-ნ ეჩრქეშიშვილის ბენეფისი.

## ტფილისის სახაზინო კალაბა

აქედანაა, რომ უძაღლესად დამტკიცებულია ამა წლის 8 ივლისის დადგენილებით სამრეწველო განვითარების შესახებ გაცემის სამრეწველო მოწმობათა და ბიულეტენის დაიწყო ტფილისის გუბერნიის და საქათლის ოლქის ყველა ხაზინამ, ხოლო 15 დეკემბრიდან განსვენებულ აგრეთ-

ვე ტფილისის საგუბერნიო განვითარება და სამხარო ქალაქების მამასახლისები, იწყვეს ტფილისის გუბერნიის და საქათლის ოლქის ვაჭართა და მრეწველთა ესლავე შეუდგენ 1899 წლისათვის სამრეწველო საბუთის ქაღალდების აღებას. იმის შესახებ ცნობების შეტეობა, თუ რა გვარად და რა ხარისხის საბუთის ქაღალდები უნდა აღიღოს,

შეიძლება სსსსინო პალატაში და ადგილობრივ ხარჯ-ამკრებ ინსპექტორებთან. განცხადებათა ბლანკები, რომელნიც დებულა ბის მე-123 მუსლის თანახმად, ყოველწლივ შეტანილ უნდა იქმნენ გამწვრელ საკრებულოში არა უგვიანეს აპრილის თვისა, უსახელოდ მიეცემათ საბუთის ქაღალდებთან ერთად შემოდ დასახელებულ დაწესებულებიდან, რომელნიც სამრეწველო მოწმობებს განსვენებ, და აგრეთვე ხარჯ-ამკრებ ინსპექტორები-საგან. (3—ნ.—2).

### ბირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუთიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საზარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ. ჩაქოვანი, 9—10 საათ. სნეულენანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ა. ბახანასანი. — დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. თ. შროტსკიანი — 12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ბ. ბ. კარაბეგაძე. 1—1/2 საათ. შინაგანი და ბავშვების.

ბ. გ. გურგია. 1/2—2/3 ს. შინაგანი და საზარდეს ავადმყოფობის.

საღამაობით:

გ. მ. მახვილაძე. — 6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ს. ნ. შაჰავესიანი — 6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი — 6/2—7 საათ.

ტ. ა. რუდენკო — სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

ჩვეულებრივი და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალო დოქტორი მ. მადიანისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница Д-ра Навасардиана. Тифлиси, противъ памяти. Воронцову. (7)

## ახალი ამბავი

კვირას, 30 ნოემბერს, ტფილისის მართლ-მადიდებელთა სასულიერო სემინარიის ეკლესიაში, ამ ეკლესიის დღეობას, მწირველი ბრძანდებოდა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარქ.

ხოსი ფლავიანე ალავერდის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდლო კირიონისა, სემინარიის რექტორის არქიმანდრიტის ჰერმოგენის და სამღვდლოების თანამწირველობით. წირვის დროს სემინარიის რექტორმა სიტყვა წარმოთქვა. ეკლესიაში სემინარიის ორი ხორო გალობდა — ქართული და რუსული.

\* გუშინ, 1 დეკემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ქალაქის საბჭოს ხმონის ლ. თ. ტიგრანოვისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ საბჭოს კრების დროს სიტყვით შეურაცხყო ქალაქის მოურავი გ. გ. ვვანგულაძე. ოლქის სასამართლომ ბ-ნი ტიგრანოვი დამნაშავედ იცნო და ორის თვით საპატიმროში დაპატიმრება მიუსაჯა.

\* 30 ნოემბერს ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი აბასთუმანში წავიდა. როგორც ამბობენ ბ-ნი გუბერნატორი ერთის კვირის შემდეგ დაბრუნდება უკან.

\* კავკასიის მთავარ მარტოზის მიერ ტფილისის გუბერნატორის კანცელარიის სარევიზიოდ დანიშნული კომისია 30 ნოემბერს შეუდგა ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს რევიზიას.

\* გუშინ, 1 დეკემბერს, „ვერსალის“ სასტუმროში მივიდა თავადის ასული თავის ნაცნობ ქალთან, რომელიც ვითომ ამგვარად იყოს გადმოღებული იტალიურიდან.

## ფელეტონი

### მოსაზრებათა ქართულის სამეცნიერო ბალოის შესახებ.

(დასასრული \*)

ჩვენს საეკლესიო ბალოებს რომ შეეცებოდა ეჭირვება, ამას ლაპარაკი არ უნდა, ამიტომ რომ დღეს სულ სხვა სიომ დაპებრა; ჩვენი სმენა ევროპის ზეგავლენით განვითარდა და უფრო მეტ ჰარმონიას ითხოვს, ვიდრე ეს ჩვენს ძველ სამხმოვან ბალოებში მოიპოვება. ამისათვის იგი ბალოა ძველის ფარხმალთ ბრძოლას ვერ უწევს საუკეთესო თოფ-ზარბანებით შეიარაღებულს ევროპულ ჰანგებს და ძალიან ადვილად უთმობს ადგილს ამ უკანასკნელს. თუ ასე იქმნა, რამდენიც უნდა ვიძახოთ, ჩვენი ბალოა მშვენიერება და ყველას სჯობაო, მაინც ხელში შემოგვაჭრება იგი და სხვის ანაბა რად დავრჩებოთ. ამის ასაცილებლად საჭიროა ისეთისავე აბჯრით შევმოსოთ ჩვენი ბალოა, როგორითაც ევროპულია შემოსილი, ე. ი. ჩვენი კილო უნდა გაკეთდეს ოთხ ხმაზედ საგალობლად, ისეთისავე ჰარმონიის დაცვით, როგორიც ევროპულსა აქვს.

ამ ბოლოს დროს ჩვენს კიდევ განხდა ოთხ ხმაზედ გაკეთებული ქართული ბალოა, რომელშიც მრავალი მითქმა-მოთქმა და კამათი გამოიწვია. როგორც მასხოვს და გამოგონია, პირველად ამნაირად ქართულის ბალოების გაკეთება სცადა ქუთაისის ქალაქის სკოლის ზედამხედველმა განსვენებულმა მრევლი-შვილმა და, როგორც მომსმენთაგან გამოგონია, კარგიც გამოდიოდა. შემდეგ ამავე გზას დაადგა ბ-ნი ა. ს. ბენაშვილი, რამდენიმე საგალობლები გააკეთა ოთხ ხმაზედ და აგალობებდა კიდევ ხოროს. ეს ბალოა მე თვითონ მომსმენია რამდენჯერმე და, მართალი უნდა ვთქვა, სრული კმაყოფილება მიმიღია ხოლმე მისის მოსმენით. ამ ბალოებში მელოდია, ე. ი. უმთავრესი კილო ნამდვილად შეუცვლელი ჩვენებურია (უმეტესი ნაწილი ქართლ-კახურია), ხოლო ჰარმონია-კი სრული და სასიამოვნო. მაშ რაღა სჯობია ასეთ ნაირად გაკეთებულს ბალოებს და ან რა გვეთქმის იმის წინააღმდეგ? მაგრამ ყოველ ახალ საქმეს, ავია თუ კარგი, მუდამ მოწინააღმდეგე უფრო ბევრი უჩნდება, ვიდრე მომხრე. აქაც ასე მოხდა. ბრალიანმა და უბრალომ, მკოდნებმა და არამკოდნებმ ერთბაშად იუცხოფერეს ეს ამბავი, ასტყდნენ ყველანი, ვინ იცის ვინ რა აზრით, და ექსორია

უნდა ექმნათ ბ-ნ ბენაშვილის ბალოებისათვის, ნეტარ-ხსენებულ გაბრიელს რომ არ გაეწია მფარველობა. ზოგი გაიძახოდა: „ეგ კახური კილოა და ჩვენ რად გვინდა ან რისთვის გვახვევთ ძალად თავზეო“; ზოგი ამბობდა: „ეგ კათოლიკების ბალოა და არა ჩვენიო“, და ამგვარ მიზეზებს უძებნიდნენ. რასაკვირველია, იყვნენ ბევრი თანამგაძობნიც, განსაკუთრებით ახალგაზდათაგანი, და ესენი ამხნევედნენ ბ-ნ ბენაშვილს.

ამავე გზას დაადგა ამ სტრიქონების დამწერიც. თანაფერძობ რა ჩვენის ბალოების შემუშავების აზრს, მეც ვცდილობ რაიმე წვლილი შევიტანო ამ საქმეში ჩემის მხრივ. ამიტომ ავიღე „განმშვენებული“ კილო და უკვე დაბეჭდილი ნოტებიდან გავაკეთე ოთხ ხმაზედ მთელის წირვის წესი მღვდლისა და მღვდლომთავრისა; რამდენჯერმე კიდევ ვაგალობე ეკლესიაში ხოროს. გადავიღე აგრეთვე რვა ხმის „უფალო ღაღად ვყავ“-ი თვისის დასადებლებით და დოღმატიკებით და „ღმერთი უფალი“ ტრაპარებით. ახრადა მაქვს აგრეთვე მიყვები და სხვა საგალობლებიც გავაკეთე, ეს საქმე მეტად ძნელი სამუშევარია, განსაკუთრებით „განმშვენებული“-ს კილოს ოთხ ხმაზედ გაკეთება და ამისათვის მე ვერ დავიფიქმებ მაინცა

და მაინც, ჩემი შრომა უნაკლებოა მეტი, რადგან ახალი საქმეა და ახალ საქმეს შეცდომაც ბევრი მოსდევს, მაგრამ სინდისი მაინც იმითი მაქვს დამშვიდებული, რომ შეიძლება შემდეგში ჩვენმა (მე და ბ. ბენაშვილისამ) შრომამ გზა და ხილობა გაუწიოს მომავალს, ჩვენზედ უფრო დახლოვნებულს კომპოზიტორს.

ისეთივე მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩემმა შრომამაც, როგორც ბ. ბენაშვილისამ. ერთი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა, უფრო სწორედ მხედველი, მიუდგომელი და პროგრესიულის მიმართულებისა, თანაფერძობს ჩვენს შრომას და საზოგადოდ ასეთს მიმართულებას, ზოგი-კი ურწმუნო თომასავით გაიძახის: „მატონო, ამას რას მოგვწაირთ! ვის გაუგონია ქართული ბალოა და ოცი-ორმოცი კაცისა და ბავშვებისაგან შემდგარი გუნდიო! არ იქათ, გვიშველეთ, გავვიწყენს მამა-პაპური ბალოაო“ და სხვა. არიან აგრეთვე „ულტრა-პროგრესისტები“ და „კონსერვატივები“, რომლებიც გაიძახიან: „რა საჭიროა ჩვენის ძველის ბალოების ტანჯვა-წვალება და კეთებაო; მან თვისი დრო მოსჭამა და ესლა ანდერძი უნდა აგვოს, ხოლო მის მაგიერ შემოვიღოთ მზა ევროპული კილო და მოვუწეროთ ქართული სიტყვებიო“, და ამასთანავე ასახელებენ რუსულ ბალოებს, რომ

მელიც ვითომ ამგვარად იყოს გადმოღებული იტალიურიდან. პირველები, რასაკვირველია, მართალი არიან და დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ მომავალიც იმათ მხარეზეა; ხოლო რაც შეეხება უკანასკნელთ, ისინი-კი შემცდარს აზრზედ სდგანან. ძველის ბალოების შეუცვლელი ბალოების დამცველთ, ალბად ჯერ კიდევ არ გამოუღიათ ბაშა ყურებიდან და ვერ გაუგიათ, რომ ჩვენი ძველი ბალოა ძველის კულტურის ნაყოფია და ახალ კულტურას იმ სახით ბრძოლას ვეღარ გაუწევს. დრონი იცვალნენ. რამდენადც გონებით განვითარდა ხალხი, იმდენად გრძობაც განუსუბეტა და სმენა განუვითარდა. ჩვენის ძველების მოსაწონი ჰარმონია დღეს ჩვენს სმენას ვეღარ აკმაყოფილებს. ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ეს არის, რომ რამდენიც დრო მიდის, იმდენი უფრო იმუსრება ჩვენი ბალოა და თითქმის აღარსად გაისმის ჩვენს ეკლესიებში. ი. ი. ჩვენც ვეღარ გვაკმაყოფილებს, თორემ უცხოელთ ხომ სიცილადაც არა ჰყოფნით! ამიტომ ეჭირვება ჩვენს ბალოებს ახლის დროის მოზოგნილები. სადაგვარად შემუშავება, თუ გვინდა რომ სრულიად ხელიდან არ გამოგვეცალოს. უნდა შევკეთდეს იგი ჰარმონიის მხრივ ისე, რომ უმთავრესი კილო ანუ სული ჩვენებური

\*) იხ. „ივერი“ № 256.



ლიც შინ არ დაუხვდა. თავადის ასულმა რევოლვერი აიღო გასასინჯად, უეცრად რევოლვერი გავარდა და თავადის ასული ტყვიამ მკერდის მარცხენა მხარეს დასჭდა. თავადის ასული იმ წამსვე გაპოხდა მხიბილის სამკურნალოში. მკურნალებმა გასინჯეს დაშავებული ქალი და გადასწყვიტეს, რომ ქრალობა საშიში არ არის.

საბჭოს იმ კომისიამ, რომელსაც ბაღების გაშენება აქვს მინდობილი, გარდასწყვიტა, მომავლის წლის თებერვალში შეუდგეს ბაღების გაშენებას ავლაბრის მოედანზე და „პოკროვსკის“ კაზარმის მიხლობლად.

ქალაქის გამგეობას აზრად აქვს ქალაქის გასანათებლად 500 ფარანი მოუმატოს.

ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის სესია, ი. ო. პარჩევსკის თავმჯდომარეობით, 14 დეკემბერს დაიწყო ქ. ლუშეთში საქმის განხილვას.

30 ნოემბერს ქალაქის საბჭომ აირჩია ხმოსანი იოანესიანი, კლოუზანსკი და ა. ბ. ევანგულოვი, რომელნიც ქალაქის გამგეობას უნდა დაეხმარონ დამფასებელ კომისიის მიერ წარმოდგენილ სიების შესწორებაში. სახელმწიფო პალატის საკრებულოში წევრად არჩეულ იქნა გ. ბ. ტერ-ასატუროვი, იმის მოადგილედ — ი. კარაპეტოვი, სამრეწველო გარდასახადის გამწერ საგუბერნიო საკრებულოს წევრად აირჩიეს ხმოსანი ი. ა. თაიროვი, იმის მოადგილედ — ი. ო. გურგენბეგოვი. საქალაქო გარდასახადის გამწერ 1-ლ საკრებულოს წევრებად არჩეულ იქნენ ი. მ. ხარაივი, მ. ნ. ნაზარბეგოვი და პ. ი. გურგენოვი, იმათ მოადგილეთ — ა.

დ. ოქოვეი, დ. ი. ფორაქაშვილი და დ. ი. როტინოვი; მე-2 საკრებულოს წევრებად — კ. ვეტცელი, ა. გ. ფინკი და ს. კ. ანიევი, იმათ მოადგილედ — ვ. გ. ბერელაშვილი, ვ. ს. ეგიაზაროვი და პ. ა. ულანცევი. სავაჭრო დეპუტატებად აირჩიეს: 1-ლ განყოფილებაში — ა. ა. აივაზოვი, ი. ე. ყარაჯევი, ვ. ა. გენე, ი. ი. ჯამოვეი, ი. ა. სუზანაჯიანი და გ. ნ. კვეხრელ-კობაძე; მე-2 განყოფილებაში — გ. ნ. აბულაძე, მ. გ. ყულიჯანოვი, ბ. გ. გურგენ-სარაჯი, დ. ზ. სარაჯიშვილი და ტ. ს. სტეფანოვი; იმათ კანდიდატები — ა. კ. ქიშიშოვი, ა. ხ. ხუდავერდიანი, ვ. გ. ბერელაშვილი, ვ. ს. ეგიაზაროვი და ბ. ნი ჰაეპანიძე.

29 ნოემბერს აკურთხეს ტფილისის მაზრის სოფელ პრიუტში ახლად დაარსებული სამრევლო საეკლესიო სკოლა. კურთხევას დაესწრნენ დეკ. დიმიტრი მახათაძე, სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეფელსავე ტატიშვილი, სემენარის მასწავლებელი ბ. ნი მახათაძე და სხვანი. სიტყვები წარმოსთქვეს მღვ. მახათაძემ, ბ. ნი ტატიშვილმა და მასწავლებელმა მახათაძემ. სწავლა ახლად დაარსებულ სასწავლებელში დაიწყო პირველ დეკემბერს. მასწავლებლად დანიშნულ იქნა მ. გ. გეორგაძე. ამ სკოლის დაარსების საქმეს დიდი შეწყობა და დახმარება აღმოუჩინა ადგილობრივმა ბოქაულმა ე. დ. გუგუშვილმა, რომელიც განსაკუთრებული მადლობის ღირსია ამ საკეთილო საქმის ასე კეთილად დაგვირგვინებისათვის.

30 ნოემბერს მთავარმართებლის საბჭოს წევრი კ. ვ. იაკიმოვი პეტერბურგში წავიდა. როგორც „ახ. მიმ.“ იუწყება, ბ. ნი იაკიმოვი კავკასიაში სამსახურს თავს ანებებს.

ედვას, ხოლო გარეგნობით გალამაზდეს, რომ ჩვენც მიგვიზილოს და უცხოელების ყურადღებას დაიმსახუროს. ამ გვარად შემუშავებული გალობა რომ უცხო ქვეყნისთვისაც მოსაწონია, ამის მაგალითისთვის შორს არ წავალ. ერთ კვარადღეს, როდესაც წირვაზედ ქართულად ვიგალობეთ ოთხ ხმაზედ, წირვის შემდეგ მოვიდა ჩემთან ერთი უცხო ქვეყნელი და გაკვირვებით მითხრა: „ეს რა კარგი გალობა გქონიათ და რატომ ყველა თქვენს ეკლესიებში ასე არა ჰგალობენ? თუმცა სიტყვები არ მესმოდა, მაგრამ, მართალი უნდა ვთქვა, მაინც სიამოვნებით მოვისმინე მთელი წირვა. ეს სულ სხვა ჰარმონიისა და თავისებური ხასიათისა და ჩვენებურ გალობას კიდევ ემჯობინებო.“ მართალი გითხრათ, ამ სიტყვებმა მეტად გამაზნვეა და ზნეობრივად გამაძაგრა. ამისთანა აზრი მრავალსაგან გამიგონია. ამის შემდეგ უფრო დავრწმუნდი კიდევ, რომ ეს გზა სწორი და საუკეთესოა. ამ გზას დაადგა რუსეთის ეკლესიაც წარსულის საუკუნედ გან და დღეს იმ ზომამდის განვითარდა და აღყავდა რუსეთის საეკლესიო გალობა, რომ თვისი სისრულით ევროპიელებსაც კი აკვირვებს. წინადაკი ჩვენს გალობაზე გაცილებით უფრო ნაკლების ღირსების იყო ეს გალობა. ამავე გზას და

ადგენ დღეს სხვა მართლმადიდებელნი ერნიც: ბერძენები, ბოლგარელები, სერბიელები და სხვანი. სომხებიც კი ამ გზას დაადგენ და უკვე გამოვიდა ოთხ ხმაზედ გაკეთებული სომხურის წირვის საგალობელი. ჩვენ-კი ჩინელებსავით შემოვზღუდულფართ კედლით და არავითარის ცვლილებისა და გაუმჯობესების სურვილი არა გვაქვს. ჩინეთი კი იღვიძეს ამ ბოლო დროს, — ხოლო ზოგიერთი ჩვენთაგანი ვერც ვანათლებულ სახელმწიფოში ყოფნამ გამოადგინა, ვერც სხვისმა მაგალითმა და ვერც სხვა გარემომამ. მესამე მიმართულებისანი ე. ი. ჩვენი „ულტრა-პროგრესისტები“ და „კოსმოპოლიტიები“, რომლებიც სულ უარ-ჰყოფენ ჩვენს გალობას და პირდაპირ მზამხარეულ ევროპულ კილოს შემოღებას ჰქადაგებენ, ძალიან დაშორებულნი არიან ქარავნსა და გადაგვარების გზაზედ სდგანან. ისინი ასახელებენ რუსეთის მაგალითს და ამით ამტკიცებენ, რომ მათ არა სკოდიანთ რუსეთის საეკლესიო გალობის განვითარების ისტორია. ნეტა ვინ მოახსენა ამ ვაებატონებს, რომ რუსებმა უკუაღდეს თვისი ძველი გალობა და პირდაპირ ევროპული ანუ იტალიური გალობა შემოიღეს? პირ-იქით, რაც საუკეთესო და ნამდვილი ეკლესიურის ხასიათის საგალობლებია რუსულში,

იგივე გზით იუწყება, რომ გარის მაზრის მემამულეთა ამხანაგობას აზრად აქვთ გააფართოვოს თავისი მოქმედება. ამხანაგობას ჰსურს მომავალ წელს დააარსოს ტფილისში დიდი საწყობები, სადაც ითვალ გაიყიდება სასოფლო-მეურნეობის სხვადასხვა ნაწარმები. ამხანაგობა უკვე შესდგომია ტფილისში ადგილის ძებნას შერობის ასაგებად.

მკითხველებს უთუოდ ესხომებათ, რომ ქალაქის საბჭომ აარჩია განსაკუთრებული ეგრედ წოდებული „სარეკომენდაციო“ კომისია, რომელმაც უნდა დაასახლოს კანდიდატები ქალაქის გამგეობის ორის წევრის თანამდებობაზედ. თუმცა ერთ კვირაზედ მეტია რაც ეს კომისია არჩეულ იქნა, მაგრამ კანდიდატები კი ჯერ არ დაუსახელებია, მხოლოდ „ტფ. ფ.“-ს სიტყვით, ხმოსანმა — პ. იაკიმოვმა მიჰმართა ამ კომისიას და სთხოვა, — თანახმა ვარ ყუთი დავიდგა გამგეობის წევრის თანამდებობაზედაც. ეს ის იაკიმოვი გახლავთ, რომელიც წელიწადი იქნება თითქმის, რაც საბჭოს სთხოვს რაიმე ადგილი მომეცითო.

როგორც ვაზ. „ტფ. ფურ“-ი იუწყება აზრად აქვთ ტფილისის საბაღოსნო სკოლა, რომელსაც დღემდის კავკასიის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოება განაგებდა, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დაუქვემდებარონ.

ვაზ. „კავ.“-ს სიტყვით, სიღნაღის მაზრის კაკაბეთის სოფლის საზოგადოების რამდენიმე წარმომადგენელმა კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ამ სოფელში სასამეღობით ვაჭრობის ნება აღარავის მიეცეს, რადგანაც მდებარეები დიდ ფასად

ჭყილიან სასამეღობს და, ამას გარდა, ფულის ნაცვლად ერთი ორად სანოვანეს ართმევენ სოფელლებსაო. ამ სოფელში 8 ლუქანზედ მეტია და თითო მედუქნე 1000 ფუტქერსა და 600 ფუტპურს იღებსო.

გუდაუთიდგან სწერენ „ახ. მიმ.“-ს: აუხანეთის თავად-აზნაურობის იმ ნაწილისთვის, რომელიც რუსეთ ოსმალეთის უკანასკნელ ომის დროს ოსმალეთში გადასახლდა და მერე უკანვე დაბრუნდა, დღემდის არ მიუზომიათ სანადელო მიწები, თუმცა ამის შესახებ მათ არა ერთხელ და ორჯელ აღძრეს შუამდგომლობა. ამა წლის გაზაფხულს სენებულ თავად აზნაურთ ხელ-ახლა აღძრეს შუამდგომლობა კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე და ვგონებთ ეხლა მათი თხოვნა შესრულებულ იქნება: ამ დღეებში იყო აქ მთავარ-მართებლის საგანგებო საქმეთა მოხელე თავ. მამატოვი ამ თავად აზნაურთა შესახებ ცნობების მოსაქრებად და აგრეთვე იმის გამოსარკვევად, რამდენია თავისუფალი ადგილი გუდაუთის ნაწილში.

„ტფილ. ფურ“-ს სწერენ დილიჯანიდან: 25 ნოემბერს განჯის გუბერნიის დაბა დილიჯანს მიხლობლად შემდეგი უბედურება მოხდა, რომელმაც იმსხვერპლა 17 კაცი ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებელი. ეს კაცები სხვებთან ერთად ფურგუნებით გუმბრში მიდიოდნენ, ღამე დილიჯანში გაათევეს და მეორე დღეს გზას გაუდგნენ. გზა მდინარე აღსტაფინკას მარცხენა მხარეს მიდის და ამ მდინარეზედ გადაბულ ხიდის მიხლობლად გუმბრიდან მომავალ გზატკეცილს უერთდება. როდესაც ერთი ფურგუნი, რომელშიაც 19 კაცი იჯდა, ხიდს მიუახლოვდა, და აღმართზედ დაქანდა, ხი-

ლის მოაჯირს შემოეხანა — გზამტვრია ეს მოაჯირი და წყალში გადავარდა. ფურგუნი წყალში ჩავარდნის დროს გადაბრუნდა და ეს 19 კაცი ქვეშ მოიტანა. იმათი წვილკვილი კაცს შესხარავდა. პირველად იქვე ახლო მყოფი ჯარის-კაცი გაჭქანდენ მისაშველებლად. შემდეგ მათ სხვებიც მიეშველნენ. როგორც იყო დაშავებული მგზავრები ამოიყვანეს და გადაიყვანეს იქვე მყოფ რაზმის ბანაკში, სადაც ორმა სამხედრო ექიმმა შემწეება აღმოუჩინეს. ხიდის სიმაღლე, საიდგანაც ფურგუნი გადავარდა, სამი სეკენი იქნება. 19 მგზავრთაგან 2 რაღაც სასწაულით გადარჩა, ხუთი კაცი ოღნავ დაშავდა, დანარჩენი თორმეტი კი საშიშოდ დაშავდა. ზოგს ზურგის ძვალი ჩაემტვრა, ზოგს გვერდები, ხელები, ფეხები და სხვა. ზოგის მოჩრჩენის იმედი არც კი აქვთ. ყველა დაშავებული იმავე დღეს ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

**წარული ქახეთიღვან.**

აგერ ორი თვეა ყურები გამოგვიქედეს, დიდი მოსავალი მოვიდა კახეთში, ამისთანა დიდი მოსავალი კარგა ხანია არა ყოფილა კახეთში და სხვ. ეს ვახვიადებული ამბავი მოვიდა მთელს ქვეყანას და ბევრმა პირი იბრუნა განჯისა და ერევნის გუბერნიებიდან, რატენიდან, ყიზლარიდან და სხვა ვაზიან ქვეყნებლებს კახეთისაკენ იმ იმედით, რომ აქ წყლის ფასად ღვიონს იყიდდა და წაიღებდა. ვინ ასე აზვიადებდა კახეთის მოსავალს, ვგონებ, მისთვის კახეთს შეადგენდა რომელიმე მისი ნაცნობი სოფელი, ან ორი-სამი სოფელი. რაკი ამ ორ-სამს სოფელში კარგი მოსავალი ნახა, აქედან კარგი მოსავლის სახელი მოჰქონა მთელს კახეთს. ნამდვილად-კი საქმე სრუ-

განმშენებელი-ს კილოს ნიშნებში. ეს წიგნი უნდა დარიგდეს ყველა ეკლესიაში და იგივე შემოღებულ იყოს სახელმძღვანელოდ ჩვენს სასწავლებლებში. შეკარდებმა ისწავლონ ორივე კილო. ამისათვის სამღვდლოებამ უნდა იზრუნოს. ამ საქმეში განსაკუთრებით მესვეურება უნდა იკისრონ ჩვენმა მღვდელ-მთავრებმა და წინ გაუძღვნენ ჩვენს სამღვდლოებს, რომელიც, დარწმუნებული ვარ, თანაგრძობით მოეპყრობა ამისთანა საშვილიშვილო საქმეს. ამავე სამღვდლოებამ მხარი უნდა დაუჭიროს ჩვენის გალობის შემუშავების საქმესაც და ამ საზიებულედ მუშაკთ. ზნეობრივი დახმარება გაუწიოს. განსაკუთრებით დაბა-ქალაქების სამღვდლოება უნდა ეცადოს შემოიღოს თავისი ეკლესიებში ქართული გალობა, ოთხ ხმაზედ შეკეთებული, — რადგან ქალაქის ხალხს უფრო განვითარებული აქვს სმენა და სრულიად გაურბის ჩვენს ძველს გალობას, იმას იგი ვეღარ აკმაყოფილებს. ჩვენის გალობის შემუშავება მიუცილებლად საჭიროა და ამიტომ სამღვდლოებამაც თავისი მხრით, წინააღმდეგობა-კი არა, დიდი დახმარება უნდა გაუწიოს, თუ უნდა, რომ პირნათლად გამოვიდეს ღვთისა, ერისა და ისტორიის წინაშე...  
კორ. მალრამე



ლიად სხვა ნაირად: ქვემო ქიზიყში — ანაგის ქვემო — მოსავალი საშუალოდ ნაკლები იყო. ქვემო ქიზიყის ვენახები შეკრებილია ორს ადგილას — ხირსასა და ქუმბათზედ. ეს ორი დიდი ადგილი ვენახებით გაშენებული, სადაც ქვემო ქიზიყელს მოსდის გასასყიდი ღვინო, რომელიც ყველა კახურ ღვინოებზედ აღრე იყიდება, როგორც აღრე შემოსული ყურძნის წვენი, ნაკლებ-მოსავლიანი იყო წელს. აქ — ხირსასა და ქუმბათზედ — ქიზიყელ გლეხის ვენახები ჯერ ნაწილი არ არის, თუ არ ჩავთვლით ძალიან მცირე ნაწილს. ამის მიზეზი ის არის, რომ საფილოქსერო კომიტეტმა მეტად უყურადღებოდ დასტოვა, განსაკუთრებით წელს, ეს ორი ვენახი დიდი ადგილი. სოფელს ანაგის და ს. კარდენახში მართლაც აუარებელი მოსავალი მოვიდა, აგრეთვე ახლო-მახლო სოფლებში, რადგანაც ამ სოფლებში იყო დაბინავებული საფილოქსერო დასი და კეთილ-სინიდიორად ჰებლმძღვანელობდა ვენახების წამლობას. ს. გურჯანასა, ჩუმყალასა და ახლო-მახლო შარშანდელზედ ნაკლებად თუ არა, მეტი არ მოსულა. ზევით სოფლებში წინანდლამდის ბევრი სოფელი იყო დასეტყვილი შარშან და წელსაც არა მოსულა-რა. გველს მინდორში რვა დესიატინა, ე. ი. თექვსმეტ დღიურ ვენახში სამი საპალნე არ მოსულა, ე. ი. დღიურზედ 9 ვედრო. მართალია, საუფლისწულო მამულებში იმისთანაც იყო, რომ დღიურზედ ათასობით ვედრო მოვიდა, კარდენახშიაც იყო ვენახი, რომლის დღიურზედ 6—10 საპალნემდე ღვინო მოვიდა, მაგრამ, როგორც მოგახსენებთ, იმისთანა სოფელიც ბევრია, სადაც დღიურზედ 6—10 საპალნე კი არა, 6—10 ჩაფიც ძლივს გამოვიდა. წინანდალს ზევით კონდოლში და მის ახლო შარშანდელზედ მეტი მოსავალი მოვიდა. ს. კურდღელაურსა, ვარდისუბანსა, რუისპირსა, იყალთოსა, თაღლაურსა, აწყურსა, ზემო-ხოლაშენსა, ოყიოსა, ხორხელსა, ქისტაურსა, ახმეტასა და სხვ. სოფლებში შარშანდელზედ, თუ ნაკლები არა, მეტი არ მოსულა. აღაზან გაღმა ორ სოფელში მოვიდა მეტი მოსავალი, სხვებში ან შარშანდელის ოდენა, ან კიდევ ნაკლები. ორთა შუა რიცხვით თუ ვიანგარიშებთ, გაბედვით არ შეიძლება ითქვას, რომ შარშანდელ მოსავალთან შედარებით წელს ერთი მეოთხედი წიგმატებინოს. ერთი მეოთხედი, ჩემის აზრით, უადრეს რიცხვად უნდა ჩაითვალოს, თუ წლები ვინდელი მოსავალი შარშანდელს შევუდარებთ. ფასი ღვინისა ერთი-ორიდან ერთი ოთხმდის დეკა, რასაკვირველია, ფასის ასეთი დაწვევა მოსავლის სიძრავლით არ აიხსნება, მით უმეტესად, რომ თუნდა აქ გარდამეტებული მოსავალი ყოფილიყო, სამაგიეროდ ერევანის და განჯის გუბერნიებში, ბორჩალო, ქართლი, ყიზლარი და სხვა ვენახი ქვეყნები წელს მეტად დაზარალდა, ყველა ამ ადგილებში ნაკლები მოსავალი მოვიდა. ღვინის ფასი დასწია იმ ორმა-სამმა სოფელმა, რომლებშიც მართლა მეტის-მეტად დიდი ღვინის მოსავალი იყო. ამ სოფლებს მიაწყდნენ ვაჭრები როგორც მძივრს სვავები, და ერთის მხრივ, უკუტკობით გაჭირვებული ვენახის პატრონი (იყო

შემთხვევა სოფ. ანაგისა და კარდენახში, რომ მარანი აავსეს და ზოგი ისევ დასაკრეფი ჰქონდათ საფე მარნის პატრონებს), მეორეს მხრივ, დაჯერებული ვაჭრებისაგან, რომ ყველგან მთელს ღვინოზედ ამისთანა დიდი მოსავალია, დაითანხმეს მცირე ფასზედ. ერთი, მეორე, მესამე და გაკეთდა მანანდა. ამასობაში „ფოშტის“ ფულის გარდასახადის დროც დადგა, ზედ რიცხის, ქორწილების და ბანკებში სარგებლის წარდგინის დრომაც მოატანა და ეს სამი, ან ორი ხელკალიერად დაუბრუნებელი იასაული მუდამ დღე კარზედ აეტუზნენ ვენახის პატრონს. ჩვენი ღვინის ვაჭრები ხომ მუდამ ამ იასაულებს უცდიან და იციან, რომ მათგან ძალ-დატანებულს ღვინის პატრონს მალე დაიყოლიებენ ფასზედ. ამ იასაულების წყალობით დაბალმა მანანდამ მაგრად მოიკადა ფეხი. ვაჭრებიც სარგებლობდნენ და სარგებლობდნენ, იქმდის გაამრავლეს ღვინის გამგზავრება, რომ ფურგუნის ქირამ ერთი-ორად, ერთი-სამად იმატა. ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი ღვინის პატრონი მუდამ დღე ხელებს იმტრევეს და გაიძახის: „გაგონილა! არ მოგივა მოსავალი, ქირი და ნაცილია, მოგივა და ისევ ქირი და ნაცილია! დროზედ ვერ გაგიყიდნა, რომ ხელი მოინაცვლო. ფასს არას იძლევიან, წყლის ფასად თხოულობენ და ამისთანა მოსავალს რას ვაქნევო“.

ღვინის მანანდა 25-სა და 70 მანეთს შუა ტრიანობდა, მომეტებული ნაწილი 30—45 მან. იყიდებოდა. ზემო კახეთში ჯერ ვაჭარი არცკია გახშირებული, რაკი ქვემო კახეთის ღვინოს ეზიდებიან. ამ ვაჭარებში მყოფ ღვინის პატრონებს საიდგანლაც მშველელი გამოუჩნდათ, — ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საერთოერო ნდობის საზოგადოების ბანკის დირექტორი თ. ვლადიმერ სიმონის ძე მიქელაძე. ბნმა მიქელაძემ ქვემო ქიზიყიდან დაწყებული ჩამოუარა უფრო დიდ სოფლებს და ყველგან სოფელთ განუმარტა, რომ ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკი მზად არის ხელი გაუწოდოს სოფელთ მწარმოებელთ და როცა მათ გაჭირება ექმნებათ, ასე-სებეს ფულს თუმანს თვეში 7<sup>3</sup>/<sub>4</sub> კაპიკით. სოფელთ მწარმოებელი იქმდის შესწევნია თვეში თუმანზედ ათ შუორიდგან ოთხ აბაზამდის სარგებლის ძღვევას, რომ პირველში არავინ დაიჯერა. არც ისა სჯეროდათ, რომ ტფილისში იყო იმისთანა დაწვევებულება, რომელიც სოფელთ მწარმოებლის სიკეთისათვის ზრუნავდა და ეს მზრუნველობა იქმდის მივიდა, რომ კაცი გაჭვავნეს საშველად. როცა თავ. მიქელაძეს თანადაწურვინტელიგენცია დემოწმა და შემფიცა, მხოლოდ მაშინ დაიჯერეს და თითქო „ცა გაენსნათ“, ისე გაიხარეს. იყო შემთხვევა, რომ დაჯერებულების გადაჯერება მოინდომეს იმათ, ვინც სირაჯებს და ღვინის პატრონს შუა დალალობდნენ, მაგრამ აქაც სიმართლემ გაიმარჯვა.

რა თქმა უნდა, თავ. მიქელაძე ერთის ჩამოვლით ვერც ყველას შეატკობინებდა და ვერც ყველა შემტკობელ-შემგნებელთა მოთხოვნის დააკმაყოფილებდა, მაგრამ მისმა ჩამოვლამ მანანდა უკვე შეატკობა ღვინის პატრონთა სსარგებ-

ლოდ. მანანდის ასეთი შეტკობა შემოწმებულია თვით ღვინის ვაჭრებისაგან, გამოგონებული ამბავი არ გვეგონათ. არ იფიქროთ, რა მოხდა ისეთიო, რამ ერთის კაცის გავლით მანანდა შეიცვალაო. მართალია, შორიდგან ეს გარემოება დაუჯერებელს უფრო ემსგავსება, ვიდრე დასაჯერებელს, მაგრამ თუ გეცოდინებათ, რა ხრიკებით, რა ცუდლუტობითა და რა გაიძვერობით არის დაწვეული მანანდა, მაშინ აღარ მიიჩნევთ ჩემგან ნათქვამს დაუჯერებლად.

თელავის მანანდა თავ. მიქელაძე 24-ს მოვიდა, 25 ს. შილდაში წავიდა, 26—ს. ყვარელში, 27—ს. ახატელში, სადაც შეყრილიყო ორისამის სოფლის საზოგადოება. ყველგან შეატკობინა ხალხს, რა და რა წესით შეუძლიანთ ხელის მოსანაცვლებლად ფული ისესხონ ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან, კიდევ გასცა რამდენიმე სესხი ისევე, როგორც სიღნაღის მანანდაში, და ხალხი ყველგან აღტაცებული მიეგება ამ შემწეობას.

28 ნოემბერს თავ. მიქელაძე ტფილისისაკენ გაემგზავრა სრულიად დარწმუნებული, რომ იმ ბანკს, რომლის დირექტორადაც თვით არის, დიდი სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს კახეთ-ქიზიყის მცხოვრებლებს მოკლე ვადიანის და გადავილებულის სესხით, რა თქმა უნდა, რამდენადაც მანძილი ნებას მისცემს ბანკს სესხის სწრაფად და ადვილად შესრულებისას; ყოველ ღონის ძიებას მხარობს ბნი დირექტორი გაუადვილოს სოფელთ მწარმოებელს სესხის აღება. როგორც დაკვირვებამ და საქმეში ჩახედვამ დაანახა მდგომარეობა, ჯერ ჯერობით კახეთისათვის ერთი სააგენტო იქმნება დაარსებული, რომელიც შუამავლობას გაუწევს სოფლის მწარმოებელს ბანკთან.

ყველა ეს მტკიცე დეაგამია იმ შევასშებებისა, რომლებიც „იმკიან, სადაც არა დაუთესიათ-რა“ და რომელთა გაუმადლარ კუჭს შეუქთად და უარაზოდ ჰკვებავს სოფელთ მწარმოებელი. რომ იცოდეს მკითხველმა, რამდენი მუქთა მქამელი ახვევია სოფელთ მწარმოებელსა და სადამდის გაყვინიზებულია ეს სოფელთ მწარმოებლის მუდმივი ბეგარა, რომელსაც არც წარსულში და არც აწმყოში არავითარი სიკეთე არ მიუძღვის მწარმოებლის მიმართ, მომავალში ბოგანობითაც ემუქრება და ეს მუქარა აგდებულ ამბად არ არის ჩასათვლელი, — სწორედ ჩასაფიქრებელია ეს მუქარა და ყოველი ღონისძიება ამ მუქარის ფრთების შესაკვეცი დიდად სანუგეშო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ერთი საუკეთესო ღონისძიება სესხის გათავება და აი, დღეს ტფილისის სასოფლო სამეურნეო ბანკი ამ მხრივ შემწეობას უქადის ამ ქვეყანას. ყველა შეგნებულის ადამიანის მოვალეობად უნდა ჩაითვალოს, რომ შეძლებისა დაგვარად გაუადვილოს ბანკს სოფელთ მწარმოებელთან აღებ მიცემა. დარწმუნებული ვარ, შეგნებელი თავაღ-ზანაურობაც, სამღვდელეობაცა და გლეხობაც ერთხმად და ერთ პირად დაეხმარება ბანკს ამ კეთილს საქმეში.

**ჯავახეთის საზოგადოებაში**  
წერილი მეორე

სოფ. ხიზაბაგრაში მამა მიხეილ ვარძელაშვილმა ახლად აშენებულ ეკლესიისათან ორ სარაოულიანი ქვეთკირის სახლებიც ააშენა მღვდლისა და კრებულისათვის, მაგრამ მამა მიხეილი ვით მზრუნველი და მართლაც გულშემატკივარი მამა თავისის მრევლისა, მართო თავისთვის არა ჰფიქრობს და ასე მოგახსენებთ, რომ ეკლესია, სარწმუნოება, ლოცვა და ღვთის სიყვარული ყოველ კაცს საფუძვლად უნდა ჰქონდეს სულიერად და ზნეობრივად გაძლიერებისთვის, სულიერ საზრდოსთვის, ხოლო ცხოვრებაში ბრძოლისა, ცხოვრებისათვის საღრის მოპოვებისათვის, ხორციელ საზრდოსათვის ყოველ კაცს გჭირვება ხერხი და ცოდნა, სწავლა და განათლებაო. მამასადამე, ეკლესიის საფუძველზედ უნდა აშენდეს საერო სწავლა-განათლება და მით ეკლესიის შვილი უფრო განვითარდეს და სულით და ზნეობით უფრო აღმაღლდესო.

თავისის აზრის მისაღწევად და განსახორციელებლად ხელთა აქვს სოფ. ხიზაბაგრაში სამინისტრო სკოლა, სადაც თითონაც ირიცხება საღმთო რჯულის მასწავლებლად, მაგრამ მართო სკოლას არა ჰქმარობს, რადგან მოზარდი თაობა სკოლას რომ ათავებს, ორიოდ წელიწადში ყოველივე ავიწყდება ისე, რომ უბრალო ბართის კითხვასაც კი ძლივს ახერხებს. ამ გვარად მთელს სოფელში 200-მდე ახალგაზღობა ელემენტარულ განვითარებასაც კი მოკლებულია.

ამიტომაც პატივცემულ მოძღვარს, მამა მიხეილს განუზრახავს მიმართოს მზრუნველ თხოვნით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გამართონ სოფ. ხიზაბაგრაშიც იმ გვარივე საგმკითხველო-წიგნთ-საცავო, როგორც ამ საზოგადოებამ გაჭმარა ქ. ახალციხეში და მის მზრის სოფ. უღეში. თავისის მხრივ მამა მიხეილი აძლევს ორ ოთახს ახლად აშენებულ სახლებში, მოსამსახურე ბიჭს, საკმაო შემას და სანათს სამკითხველოსთვის, ხოლო დანარჩენი ყოველივე უნდა იკისროს „წერა-კითხვის საზოგადოებას“, ე. ი. წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და უმთავრესი გამგებან-მფარველობა.

ჩვენ იმედი გვაქვს, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგებანა ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს ამ ხმას, მღალადებელს ძველის ძველ საქართველოდან — ჯავახეთიდან, საითაც უმეტეს ყოველსა საქირთა და უნდა მიემართოდ ჩვენი ცდა და მეცადინეობა, რათა ამ განაპირა ქვეყნის ისტორიულ მიზეზთა გამო დაკარგული და აწ დაბრუნებული ქართველი ხალხი გადასავარებლად არ გავუხადოთ უცხო ტომს, რომელნიც ძალას ატანენ ხიზაბაგრელ ქართველებს, რომ თქვენ სომხები ხართო (რადგან კონდაკი სომეხ-კათოლიკეთა რიგისა აქვსთ) და ძალაც შესწევთ, ღვთის წინაშე, რადგან რიცხვით მთელ ჯავახეთში 70 ათასი სული სომეხია და ოდესმე ძლიერი ჯავახეთის ქართველობა მთელი საეპისკოპოსო, რომელთაც ჰქმყსიდა კუმურდოელი ეპისკოპოსი, ამ ეამად

7—8 ათასი ძლივს და დაუჩინებელი როგორც აღრეც მთქვემას, ხიზაბაგრა ერთად ერთი სოფელია მთელს ჯავახეთში, სადაც 1700 სული ქართველობა შენახულა იერით, ზნეხასიათით, ჩვეულებით და ქართულის ენის მესხურის კილოთი. თუ დროზედ არ მივეშველეთ ამ ქართველ სოფელს და არ განვუმტკიცეთ ჩვენთან ზნეობრივი კავშირი, რისთვისაც ძლიერ დავგვხმარება ლიტერატურა, მაშინ უეჭველად ჩავარდებიან ამ უცხო ტომის განვლენის ქვეშ ის მოძმე ხალხი, რომელიც დღეს ჩვენ ასე ძმურად ხელს გვიწვდინა. ხიზაბაგრას გარს არტყია შემდეგი ქართული სოფლები: სარო (1<sup>1</sup>/<sub>2</sub> ვერსია), ვარგავი, თოკი, ბნელა, დაღეში და მტკვარს გაღმა ტალოში, რომელთაც აგრეთვე შეუძლიანთ ისარგებლონ სამკითხველოთი.

ილ. ალხ.

**რუსეთი**

სატახტო ქალაქის ვახეთების სიტყვით, სახელმწიფო საბჭოში შეტანილ იქნა პროექტი ქ. ეკატერინო-სლავში უმაღლეს საშოთ ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

— ვახ. „Рус. Вѣд.“-ს სიტყვით მომავალ წელს აზრდა აქვთ ციმბირში ექვსი საშუალო სატახტო სასწავლებელი დააარსონ.

— იგივე ვახეთი იუწყება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ რამდენიმე მოხელე გაჭვავნა სახრეთ გუბერნიებში ადგილობრივ ადმინისტრაციისთან მოსალაპარაკებლად ამ გუბერნიებში საერობო დაწესებულების შემოღების შესახებ.

— საერო განათლების სამინისტრომ ნება დართო სამოსწავლო შემწეობითან აწარსებული ერთ-კლასიანი სასწავლებელი ორ-კლასიანად იქმნას გადაკეთებული. სამხედრო ბეგარის გადახდის დროს ამ სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულნი გათანაწორებულ იქმნებიან საერო განათლების სამინისტროს სოფლის ორ-კლასიან სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთთან.

**უცხოეთი**

**საზრანგეთი.** 30 ნოემბერს დეპუტამ ამბავი მოიტანა პარიიდან, რომ ინგლისის ელჩი სერ მონსონი საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრ დელკასესთან იყო სადარბაზოდაო. ელჩმა გულითადი სინანული განაცხადა იმის გამო, რომ სავაჭრო პალატის ნადიმის დროს წარმოთქმულს სიტყვაში ჩემი აზრი სწორედ ვერ გამოვსტყვიო.

ეს ბოლიში ინგლისის ელჩის მხრივ შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია: ჰავასის სააგენტომ გამოაცხადა ამის წინად საფრანგეთის მთავრობის განკარგულება, რომ საფრანგეთსა და ინგლისს შორის დიპლომატიური კავშირი რომ არ შეწყდეს, ბნ კამბონმა თავისის რწმუნების საბუთები დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს დედოფალს, რა რომ ბარონი კურსელი თავის საბუთის ქალაქს გარდაცემს დედოფალსვე იმის შესახებ, რომ იგი დაბარებულია მისის მთავ-

ნადიკრელი



რობისაგან. ამის გამო ინგლისის ელჩმა სერ მონსონმა თავის სიტყვაში, რომელიც წარმოთქვა ინგლისის საგარეო პალატის ნაღებზე 25 ნოემბერს, აი რა სიტყვა: „მე აზრადაც არ მომივიდოდა, რომ სააკენტომ, რომელიც ოფიციალურ წრეებში ტყობილობს ამგებს, არ იცის, რომ ელჩის გამოცვლას დიპლომატიურ კავშირის შეწყვეტა როდი მოჰყვება თან და საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობათ დაუყოვნებლივ შეუძლიანთ იქონიონ ერთმანეთთან ოფიციალური დამოკიდებულება ინგლისის საელჩოს საშუალებით პარიზში ისე, როგორც საფრანგეთის საელჩოს საშუალებით ლონდონში“. სერ მონსონის სიტყვის წინააღმდეგ გაზეთი „Liberte“ ამბობს, — ასეთის მეტრორობის ნება რომ მიეცა თავის თავისთვის საელჩოს რომელიმე ახალგაზდა მდივანს, ის საყვედურს დაიმსახურებდა თავისი უფროსის მხრივ. „იმისათვის, განაგრძობს გაზეთი, თავისი სამსახურის დასასრულ კაცმა რომ უხერხულობა ჩაიდინოს, რომელიც სამსახურში ახლად შესულსაკი შეარტყვენს, საკირო არ იყო დიპლომატიურ სამსახურში გაქვადარება. ბ-ნი დელკასეო, თავებს გაზეთი, რაღა თქმა უნდა, დაავალებს საფრანგეთის ახალს ელჩს კომბონს შეეკითხოს ლორდს სალისბერს— ინგლისის ელჩმა მისის ბრძანებით მისცა თავის თავს ნება დარიგება მოეცა ჩვენთვის, თუ არაო“.

— დეპუტატს პასკალ გრუსეს შემდეგი დებულება გაუგზავნია საფრანგეთის სამხედრო მინისტრ-ფრენისინესათვის:

„ბ-ნი სამხედრო მინისტრო! პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ განვიზრახე შევეკითხო მთავრობას სამხედრო მინისტროს სხვა-და-სხვა მოხელის მიერ ჩადენილ ბოროტ მოქმედების შესახებ— მოხელეებად ნამყოფების შესახებ მიანც; იმათ ყოფა-ქცევის გამო ერთ როიალისტურ ჟურნალის შესახებ, და ამასთანავე იმის გამოც, რომ ყალბ ქაღალდების წყალობით იმათ გერმანიის იმპერატორიც ვაპირებს დრეიფუსის საქმეში, ხოლო ამ ყველამ რუსეთისა და ავსტრო-უნგრეთის საელჩოებს ჰრევენ ამავე საქმეში“.

ამ დებულის მიღებისათვისავე ფრენისინეს თავისი მდივანი გაუგზავნია პასკალ გრუსესთან საკითხავად— რომელ საქმეებს შეეხება იგი, როცა მთავრობას პასუხს მოსთხოვს დასახელებულ ზოგიერთ მოხელეთა მოქმედების შესახებ. პასკალ გრუსეს განუცხადებია, რომ სამხედრო მინისტრს ერთი კვირის ვადას ვაძლევ გამოძიება მოახდინოს და მანაშავე მოხელეთა მოქმედების შესახებო.

— **მსპანია.** კარლისტების მოძრაობა თანდათან მატულობს ამ უძლიერ ქვეყანაში. ბილბაოში 396 თოფი უპოვნიათ, რომელნიც დამალული იყო ერთს გამოქვავულს ადგილას. ამ აღმოჩენას თან მოჰყვა რამდენიმე კარლისტის დატუსაღება. ვალენციიდან ატუბინებენ გაზეთებს, რომ ჯარები ყოველს საათში მზად არიან, რადგან შიშინაობა კარლისტების მხრივ. საზოგადოდ მთავრობა დიდს

მზადებაშია და მუდამ ფრთხილად უჭირავს თვალს, რაიცა იმის მომასწავებელია, რომ შესაძლოდ ჰხდინა დიდის არეულობის მოხდენას ესპანიაში.

— 22 ნოემბერს მინისტრებს თათბირი ჰქონიათ იმის შესახებ, რომ ახალშენთა სამინისტრო გაუქმებულ იქნას, თუ არაო. ესპანიაში თავისი ახალშენები დაჰკარგა ამერიკისთან ომში; და რომელიც არ დაუკარგავს, იმას გასცილდნენ უპირებს, აუარებელ ვალდების გასასტუმრებლად. ამიტომ ახალშენთა სამინისტროს აღარავითარი ადგილი არ აქვს ეხლა ესპანიაში; იგი მეტი ბარგი-ბარხანაა ქვეყნისათვის და ხარჯისა და ზარალის მეტს ერს ვერას შესძენს. მინისტრთა საბჭოს ამ მიძიე საგანის გარდაწყვეტა თითონ არ უყისრნია და პარლამენტის შეკრებამდის გადაუდგია.

— **ოსმალეთი.** პორტამ გადასწყვიტა, — რაც საქონელი შემოვა ოსმალეთში კრიტიკდგან, ისეთი ბაგი დაადვას, რომელიც საქონლის ღირებულობის 80%-ს უდრიდეს. ამ ნაირად ოსმალეთი ეხლა ისე უყურებს კრიტს, როგორც უცხო სახელმწიფოს. ამ შემთხვევაში ოსმალეთის მთავრობა იმ-თ ხელმძღვანელობს, რომ კრიტში ოსმალეთის დამოყენები აღარ არსებობსო.

21 ნოემბერს ოთხ დიდ სახელმწიფოს წარმომადგენელთ თათბირი ჰქონიათ ამ საგნის შესახებ და დაუდგენიათ— ვსთხოვოთ პორტას ამ განკარგულების გაუქმებაო.

— **გერმანია.** იმპერატორს ეილ-ჰელმს, ოსმალეთიდან დაბრუნების შემდეგ, სურვილი გამოუთქვამს, რომ აზრად მაქვს დავებტლო, რა შთაბეჭდილება გამოვიტანე პალესტინაში მოგზაურობიდანო. იმპერატორისაკი თავის მხრივ სდომებია თაიგული გამოსცეს ფოტოგრაფიულ სურათებისა, რომელნიც მან გადაიღო მოგზაურობის დროს. ამ თაიგულის გაყიდვა რამდენ ფულსაც შემოიტანს, ყველა გადადებულთა საქველმოქმედო დაწესებულებათათვის.

**დამაკვირდი**

სწრაფად აწვივა ქათამზედაც დაზღა დაუშვება სოფელს, მაგრამ ქათამბა გი დრუბლებამდე ვერასოფავს ვერ ააღწევს. კრილოვი

საჭკოთ მშურბუბეა ბრძენა მძლე არს დეკუათა. ნიკოლოზ ტფილელი

ნათესავი წარავლს და სსუს მოკალს და იგიცა წარავლს, სოფლო ქვეყანა გეუს. იონა მონაზონი

**მურხალ-გაზეთმთბილდანი**

(ამოკრებილი ამბები)

პეტერბურგის გაზეთები იწყებიათ, რომ რუსეთის ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან მისულა იქ ბ-ნი ს. უ. უკროვეკი და თან მიუყვანია რვა წლის ვაჟი-შვილი, რომელიც თურმე საუცხოვოდ თამაშობს ქადრას. ამ ყმაწვილს კიევში ერთსა და იმავე დროს

ქადრას თამაშობის საუკეთესო მტოდნებთან უთამაშნია და ყველასათვის მოუგია. ვისაც ეს ყმაწვილი უნახავს, ყველანი ასე ამბობენ, ძლიერ გონიერი და ტკუამაზელი ბავშვიაო, მაგრამ სახით ძლიერ ავადმყოფსა ჰგავსო. ეს ყმაწვილი პეტერბურგში მიუწვევიათ ქადრას თამაშობის ძლიერ კარგ მტოდნით.

\*\*\* ვილაც ვილქელმ ფრიდრიხს, ლონდონის მცხოვრებს, გამოუგონია ისეთი მანქანა, რომლის შემწეობით შეიძლება მრავალი სურათი დაიღოს კაცმა ქალღმზე. ეს მანქანა უფრო გაზეთებისა და ჟურნალებისათვის არის გამოსადგვი.

\*\*\* კანადას (ამერიკაშია) შტატის მთავრობამ გადასწყვიტა, იმ ადგილებში, სადაც ძლიერ საქნელოა ფოსტის გადატანა, ფოსტისათვის ძალღები შეინახონ და ამ განზრახვით იყიდეს ესკიმოსებისაგან მრავალი ძალი. ფოსტის მარხილში შეიბამენ საშუს, ოთხსა ან ხუთ წყვილს ძალს და ფოსტის ატარებინებენ თითქმის 35 ვერსის მანძილზე. თურმე, გრელანდიაში დიდი ხანია, რაც ფოსტა ძალღებს დაჰქვთ მარხილით.

\*\*\* ამერიკელები, თურმე, ძლიერ შეწუხებულნი არიან იმის გამო, რომ დიდ ქალაქებში ძლიერ მაღალ სახლებს აშენებენ, ოცდაათისა და ორმოცის სართულიანს. ჩაკავოს ქალაქის მმართველობამ გადასწყვიტა ნება მიეცეთ მცხოვრებთ მხოლოდ ათ სართულიანის სახლების აშენება, ხოლო მეტის სართულიანის სახლის აგება აღკრძალულ იქმნასო.

\*\*\* ამერიკის გაზეთები შემდეგს ამბავსა სწერენ, რომელიც მომხდარა ქ. ვილ მიგტონში ერთის გაზეთის რედაქტორმა ზანგმა დაჰბეჭდა თავის გაზეთში წერილი თეთრ კანიან დედაკაცების წინააღმდეგ. მეორე დღეს რედაქტორი მივიდა 600 შეიარაღებული კაცი, მთელი რედაქტორი და სტამბა მოანგრის და მერე დასწვეს. ამ ამბის შემდეგ ქუჩებში გაიშარა ხეხუბი და მოკლულ იქნა თერთმეტი ზანგი. რამდენიმე კაციც დაშავდა.

**დებემა**

1 დეკემბერი

**პატივპაზრლი.** ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა— ნავთსადგური იმპერატორის აღექსიანდრე III-სა დროებით ჩარიცხულ იქმნას მეორე ხარისხის სამხედრო ნავთსადგურთა რიცხვში.

**პარიში.** პატრიოტთა ლიგის მხრივ მანიფესტაციის მოლოდინისა გამო, რამდენიმე ათასი კაცი რესპუბლიკის გვარდიისა და პოლიციელთა განაწილებული იყო პარიზის სხვა-და-სხვა ადგილას. რკინის გზის ყველა სადგური დაქვრილია. 12 1/2 საათხედ ასის კაცისაგან შემდგარი დასი, დებუტატს მილოგუისა, რამელისადა პოლკოვნიკის მონტეილის წინამძღოლობით, შერშ მიდის სატუსალოსთან მივლა, შემდეგ სამხედრო სასამართლოსთან, მანიფესტაციის მოსახდენად; გაიძახოდა-რა: „გაუმარჯოს ჯარსაო!“ რაში წავიდა პარიზის გუბერნატორის სახლისაკენ, დავრდომილთა სახლისაკენ რის შემდეგაც მშვიდობიანად დაიშალა.

**განცხადებანი იუილეზა**

საწერიმლო დუქანი მოწყობილობით, შეიძლება **შაშუპანასკნლორითი.** დუქანთან არის **სასიის დუქანი** კარგ ადგილას. იკითხეთ ახალ ჰოლანდიაში, დუქანში № 15. (3-180-3)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

აქხადებს საყოველთაოდ, რომ სადებინფექციო სენაკთან (მუშტაიდის ვიწრო ქუჩა, დამოქნის პირდაპირ,

ტელეფონი № 172) არის განსჯის რეპული ემლი ვალანდებ სენიო ავადმყოფთა გადასყვანად საავადყოფოში. ვინც ეტლს მოისურვებს, უნდა მიჰმართოს პირდაპირ სადებინფექციო სენაკს. (3-5.-3)

სურდოს წამალი  
ოლფაქტორიუმ ნუდილინი  
მ. მ. ჟიფუნსკისა  
ისყიდება 40 კაპეკად ყველა  
აფთექებსა და სააფთიაქო მალაზიებში. (12-4)

открыта подписка на 1899 годъ (пятый годъ изданія) на политическую, общественную и литературную газету „Черноморскій Вѣстникъ“, выходящую въ г. Батумъ ежедневно, за исключеніемъ послѣпраздничныхъ дней, по полнотѣ программъ ежедневныхъ столичныхъ газетъ.

Кромѣ Черном. Вѣстн. на кавказскомъ побережьи Чернаго моря не издается ни одной газеты. Съ половины мая 1898 года составъ сотрудниковъ и форматъ изданія увеличены.

Въ 1899 году, при Черноморскомъ Вѣстникѣ будутъ выходить еженедѣльно (50 №№ въ годъ).

**ВПЕРВЫЕ НА ВСЕМЪ КАВКАЗѢ, ИЛЛЮСТРИРОВАННЫЯ ПРИЛОЖЕНІЯ** (по образцу столичныхъ газетъ), замѣняющія собою еженедѣльный иллюстрированный журналъ.

Въ „Иллюстрированныхъ приложенийъ“ будутъ помѣщаться: портреты Ихъ Императорскихъ Величествъ и Ихъ Императорскихъ Высочествъ, портреты иностранныхъ государей, портреты русскихъ и иностранныхъ политическихъ административныхъ и общественныхъ дѣятелей, писателей, ученыхъ, художниковъ, артистовъ, портреты кавказскихъ дѣятелей, виды и типы Кавказа, иллюстраціи къ печатаемымъ статьямъ и пр.

Въ литературной части приложенийъ будутъ помѣщаться: романы, повѣсти, рассказы, стихотворенія, биографіи, новости науки и искусства, статьи изъ текущей жизни (съ иллюстраціями), описанія путешествій по русскимъ окраинамъ, сценки, шутки, моды, шарады, ребусы, полезные совѣты по хозяйству, и пр.

Въ „Черноморскомъ Вѣстникѣ“ печатаются: дѣйствія и распоряженія правительства, политическія и др. телеграммы, руководящія статьи, корреспонденціи, новости текущей жизни, политическія извѣстія, статьи по всемъ отраслямъ кавказской промышленности, критическія статьи, нефтяная хроника, отчеты о думскихъ и дворянскихъ собраніяхъ, отчеты о выдающихся уголовныхъ и гражданскихъ судебныхъ дѣлахъ, обзоръ періодической печати, и проч. Кромѣ того въ каждомъ номерѣ будутъ помѣщаться фельетоны, касающіеся исключительно интересовъ закавказскаго дня.

Въ виду значительныхъ расходовъ, сопряженныхъ съ изданіемъ „Иллюстрированныхъ приложенийъ“, годовая подписная цѣна увеличена на одинъ рубль: для городскихъ подписчиковъ—**семь рублей въ годъ**, иногородныхъ—**восемь рублей**. Допускается разсрочка подписной платы, по соглашенію съ конторой изданія, на самыхъ льготныхъ условіяхъ.

Такимъ образомъ г. подписчики на 1899 г. получаютъ **ДВА ИЗДАНІЯ: ежедневную газету и еженедѣльные иллюстрированныя литературныя приложения.**

Подписка на газету безъ приложенийъ или на одни приложения не принимается. Подписка принимается на срокъ съ 1 числа любого мѣсяца и не дѣлѣе какъ до конца года.

Подписная цѣна: на годъ—для городскихъ подписчиковъ, съ доставкой, 7 руб.,—для иногородныхъ, съ пересылкой, 8 руб.,—за границу 14 руб.; на полгода—для городскихъ 4 руб., для иногородныхъ 5 руб., за границу 9 руб.; на одинъ мѣсяць—для городскихъ 1 руб., для иногородныхъ 1 руб. 20 коп.

**ТАРИФЪ ОБЪЯВЛЕНІЙ:** на 4-й страницѣ, за мѣсто, занимаемое строкою петита, съ мѣстныхъ объявленій—8 коп., съ иногородныхъ—10 коп.; на 1-й страницѣ—двое. При многократныхъ объявленіяхъ—скидка.

Объявленія изъ-за границы и Россійской Имперіи (за исключеніемъ Кавказа, Закавказья и Закаспійской области) принимаются въ Центральной конторѣ объявленій торговаго дома Л. и Э. МЕЦЦЛЬ и К°, въ Москвѣ (Мясницкая, домъ Сытова) и въ Петербургѣ (Вольшная Морская, 11).

Подписка принимается: въ Батумѣ—въ конторѣ „Черноморскаго Вѣстника“ (Оглобжинская, д. Таирова), въ Петербургѣ и Москвѣ—въ конторахъ Л. и Э. Метцль и К°.

При газетѣ—батумское отдѣленіе Россійскаго телеграфнаго агентства, съ пріемомъ отдѣльной городской подписки на биржевыя телеграммы (15 руб. въ годъ), выпускаемая особыми бюллетенями два раза въ недѣлю.

**Реданкторъ-Издатель Г. А. ПАЛЬМЪ.**